# ჩვენი გზა

**№ 5**

თფილისი

1907

შაბათი, 8 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის-მოწერა და ცალკე განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში, ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, редакція „Чвени Гза“.

**№ 5** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი **№ 5**



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახებს მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Чвени Гза“.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **Георгію Григорьевичу Бежіашвили.**

„ჩვენი გზის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ტრაგიკულ გარდაცვალებას სახელოვანი მგოსნის

ილია გრიგოლის ძე

## ჭავჭავაძისა

დაკრძალვა მოხდება კვირას მთაწმინდაში.

ალექსი სიმონის ძე თევზაძე, ტერეზია, ელპიტი, მანია, გრიგოლ, რაფიელ და არჩილ რამიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი მეუღლის და მეორენი დის

## ბაბილინე ალმასხანის ასულის თევზაძისა

სულის მოსახსენებლათ კვირას, 9 სექტემბერს, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი და მოხდება განსვენებულის ძვლის კურთხევა—თფილისში, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—ფ—2)

პეტრე უთუთის ძე შურღაია, გრიგოლ ლომიკის ძე შანგუა, მატრონა შანგუასა უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლისა, მეორე ცოლის დისა და მესამე დისა

## ბაბილინასას

დანიშნულია დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე ცხრა ენკენისთვეს დილის 9 საათზე გამოსვენებენ—გრიგოლ შანგაუას სახლიდან № 241 ნაძალადევიდან.

**კომისია** „ხალშენის“ საზოგადოებისა უცხადებს იმ პირთ, რომელთაც მიიღეს ვერაზე მაკაროვის ადგილებში—სამოსახლოები, რომელიც დატიხრა ი. ბახტაძემ, დღეიდან ორი კვირის განმავლობაში ვინც შემოიტანს „ახალშენის“ კანტორაში სრულ ღირებულობის ფასს თავის სამოსახლოში, დაუბრკოლებლივ დაუმტკიცდება. ამასთანავე ვაფრთხილებთ ყველა ხელის-მომწერთ მაკაროვების ადგილებში 15 სექტემბრამდე თავიანთი ხვედრი ფული შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამოსახლოები გაეყიდებათ. (3—ფ—2)

ქალაქ თფილისში მცხოვრები კატო გაბრიელის ასული **როგავა**

ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ 1 სექტემბრიდან მთავრობის ნებართვით გავხსენი სამ-კლასიანი პროფესიონალური ჭრა-კერვის ქალთა სკოლა, სადაც მოწაფეებს მიღება სწარმოებს ყოველ დღე. მსურველთ შეუძლიანთ პირადათ მოლაპარაკება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ადრესი: გოგოლევის ქუჩა, № 53. (4—ფ—3)


### არჩევნების გამო

—

დაიწყო დუმის არჩევნები!.. სულ რაღაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში ეს მესამეჯერ ხდება რუსეთში პოლიტიკური არჩევნები. ასეთი არჩევნები შემოღებულ იქნა და გახშირდა რუსეთში სწორეთ მას შემდეგ, რაც რომ რუსეთის მოძრაობამ დეკემბრის დამარცხება განიცადა და მთელ რუსეთში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სულ უფრო და უფრო ძირს დაუშვა თავისი აბორგებული ტალღები, სულ უფრო მიწყნარდა. მოხდა თითქო ის, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ადგილი დაუთმო საპარლამენტო მოქმედებას, და მის საწარმოებლათ ხალხი აგერ მესამეჯერ ირჩევს თავის წარმომადგენლებს, ახდენს პოლიტიკურ არჩევნებს. გეგონება—ხალხი დაკმაყოფილდა, შეურიგდა მდგომარეობას, დაწყნარდა. მართლაც და, თუ ეს ასე არ არის, მაშ ხალხი რატომ ქუჩებში აღარ გამოდის რევოლიუციონურათ აზვირთებული? რატომ წინანდებურათ აღარ ახდენს იგი პოლიტიკურ დემონსტრაციებს, გაფიცვებს და სხ.? რატომ ხმა-მაღლა აღარ გაჰკივის რევოლიუციონურ ლოზუნგებს, სიმღერებს? ერთი სიტყვით, რატომ წინანდებურათ აღარ გამოხატავს იგი გარეგნულათ თავის მძულვარებას ძველ პოლიტიკურ წყობილებისადმი და თავის მისწრაფებას მისი დამხობისაკენ? განა აგერ მეორე წელიწადი არ არის, რაც რომ ხალხის მთელი პოლიტიკური მოქმედება თითქმის მარტო დუმის არჩევნებში მონაწილეობით განისაზღვრება? და თუმცა პოლიტიკური არჩევნებიც აგრეთვე ბრძოლას წარმოადგენს, მაგრამ ეს ხომ რევოლიუციონური ბრძოლა არ არის, ეს ხომ მშვიდობიანი, პარლამენტარული ბრძოლაა?!

ეჭვი არ არის, მრავალ მიზეზთა გამო ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეს მეორე წელიწადია, გარეგნულათ აღარ ბობოქრობს, იგი ამ ბოლო დროს თითქმის სულაც აღარ ჩანს. მაგრამ ეს გარემოება რომ ოდნავაც არ მოასწავებს განმათ. მოძრაობისმოსპობას, ამას ყველაზე უფრო ნათლათთვით იგივე პოლიტიკური არჩევნები გვიმტკიცებენ ხოლმე. მას შემდეგ, რაც რომ ხალხს „გზა დაეხშო“ პირდაპირი და აშკარა რევოლიუციონური მოქმედების საწარმოებლათ, განმათავისუფლებელ მოძრაობას თითქმის ერთად ერთი საშუალება დარჩა თავისი არსებობის გამოსაჩენათ, ეს საშუალებაა სახ. დუმის არჩევნები (და რა თქმა უნდა თვითონ დუმაც) და აი სწორეთ ეს არჩევნები ჩვენ ქუჩის დემონსტრაციაზე არა ნაკლებ ნათლათ გვიაშკარავებენ ხოლმე, რომ ხალხის მძულვარება ძველ პოლიტიკურ წყობილებისადმი და მისი მისწრაფება ამ წყობილების მოსპობისაკენ არა თუ არ ქრება, არამედ სულ უფროც ძლიერდება. თუ არ ამას, მაშ სხვას რას მოასწავებს ის გარემოება, რომ, თუმცა მთავრობამ მეტათ შემავიწროებელ პირობებში ჩააყენა ხალხის მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ ხალხმა მაინც კიდევ მოახერხა თავის წარმომადგენლებათ ორივე დუმისათვის ისეთი კაცები აერჩია, რომლებიც დაუნდობელ ბრძოლას უწევდენ ძველ რეჟიმს და მედგრათ მოითხოვდენ „მიწას და თავისუფლებას“? განა ამან არ გამოიწვია ორთავე დუმის გარეკა? ამან არ გამოიწვია მთავრობის მიერ საარჩევნო კანონის მთლათ გადაუკუღმართება, ხალხისათვის საარჩევნო უფლების მხოლოდ ნამცეცის დატოვება? აშკარაა „განმათავისუფლებელი“ მოძრაობა მიწყნარდა, მაგრამ „განმათავისუფლებელი“ განწყობილება კი სრული თავისი ძლიერებით არსებობს.

როგორი იქნება უკვე დაწყებულ არჩევნების საბოლოო შედეგები, ამის წინასწარმეტყველება ძალიან ძნელია; მაგრამ, ეჭვი არ არის, რომ ხალხის და საზოგადოების დღევანდელი პოლიტიკური განწყობილება ამ არჩევნებსაც, მიუხედავათ საარჩევნო უფლებას ნამეტანი შეზღუდვისა, მაინც კიდევ ღრმა კვალს დააჩნევს და საიმედოა, რომ ბევრ შემთხვევაში კვლავ არჩეულ იქნებიან თავისუფლებისათვის თავგამოდებული მებრძოლნი.

ჯერ-ჯერობით წარმოებს რწმუნებულების არჩევნები გლეხთა და მუშათა კურიებში, ე. ი. ამ ჟამათ არჩევნები წარმოებს სწორეთ ხალხის იმ ფართო წრეებში, რომლებსაც ახალი კანონით საარჩევნო უფლება ერთიანათ შეუზღუდეს: მათი ვიბორშჩიკების რიცხვის შემცირებით მეტათ შეუვიწროვეს გავლენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე—დეპუტატების არჩევაზე.

რწმუნებულებათ როგორც მუშები, ისე გლეხები, რაღა თქმა უნდა, უმეტეს ნაწილათ მაინც, მემარცხენეებს აირჩევენ. ამას შესამჩნევათ მოწმობენ თვით ოფიციალური დეპეშები, რომლებიც როგორც ვიცით, მუდამ სინამდვილის დაფარვას ცდილობენ. საიმედოა, რომ გლეხები და მუშები ბევრგან ისეთ რწმუნებულებს აირჩევენ, რომლებიც შემდეგ მოახერხებენ გაიყვანონ მხოლოდ მემარცხენე ვიბორშჩიკები და, თუ ეს მოხერხდა, მაშინ საგუბერნიო კრებაზე დეპუტატატების არჩევის დროს სხვა კურიების ვიბორშჩიკები ძალა-უნებურათ იძულებული გახდებიან მემარცხენენი აირჩიონ დეპუტატებათ **გლეხებისა და მუშების კურიიდან** *).

ყოველივე ამის მოხერხებას, რასაკვირველია, დიდი მეცადინეობა უნდა. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ხალხი, რომელშიაც უკმაყოფილების სული კვლავ განა გრძობს გაღვივებას, არ დაიზარებს ასეთ მეცადინეობას, და ყოველ ღონეს იღონებს ხელში არ ჩაუვდეს მტერს ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც არის სახ. დუმა. ისტორიას ახსოვს სხვა ქვეყნებში იმის მაგალითები, რომ ისეთ ხანაში, როგორსაც დღეს რუსეთი განიცდის, ხალხს უფრო უკუღმართი საარჩევნო კანონიც კი გადაულახავს და ბლომათ აურჩევია პარლამენტში მებრძოლი დეპუტატები.

ჩვენშიაც მალე დაიწყება დუმის არჩევნები, ჩვენი ვალია, რაც შეიძლება მეტი სიმხნით, მეტი გულმხურვალებით შევუდგეთ საქმეს!

—

### პოლიტიკური მიმოხილვა.

—

საინტერესო მოვლენის დამსწრე ვართ: აგერ რამდენიმე კვირაა, რაც მემარჯვენეთა ბანაკში ხელჩართული ლიტერატურული ბრძოლაა გამართული! იქ ძმა-ძმას აღარ ინდობს და ძაღლი-პატრონს ვეღარ სცნობს. ომი ა. სტოლიპინმა და მენშიკოვმა დაიწყო, კამათი „ძლიერ მთავრობის“ შექმნის გარშემო ტრიალებს. მენშიკოვის აზრით, დღეს მომენტის საკითხი ძლიერი მთავრობის შექმნაა და ასეთი მთავრობის გამოცოცხლება შეუძლია მაგარი ხასიათის კაცს **ხაშტის და მათრახის შემწეობით**, საჭიროა **ცეცხლი და მახვილი**, რომ „მოქალაქე“-ს ქედი მოვახრევინოთ. სტოლიპინის აზრით, არც მარტო რეპრესიებით შეიძლება სახელმწიფოში მთავრობის ძლაუფლების გამაგრება. მთავრობის გასაძლიერებლათ აუცილებლათ სახელმწიფოებრივი რეფორმები უნდა მოახდინოთ, რომ საზოგადოების თანაგრძნობა მოვიპოვოთ.

მენშიკოვ-სტოლიპინის კამათი ჯერ არც კი გათავებულიყო, რომ „უცაბედათ“ ოდესაში პაგრომი მოხდა. პაგრომმა ევროპის საზოგადოების ყურადღება მიიქცია და, სხვათა შორის, იქაურ „ფულის ტომრებზე“ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ა. სტოლიპინი დაფაცურდა, მან აათამაშა თავისი კალამი. მინისტრის ძმამ წმინდა რუსების კავშირს „ველურობა“ უსაყვედურა და ადმინისტრაციასაც შეუფუცხუნა. ასეთი „ამხანაგური“ ქცევა ლახვარივით ეცა გულში ბულაცელს; მან „საშკას“ საქმენი-საგმირონი ერთხელ კიდევ გამოამზეურა პრესაში.

ლიტერატურულ ძმა-ბიჭებს ბუტიაობა ამით არ დასრულებულა, კამათში ოფიციალური „როსია“ ჩაერია. გურლიანდის გაზეთმა არ უქო მენშიკოვს ჭკუა, პოლიტიკური გამჭრიახობა და „აზრთა და შეხედულებათა თამაში“. „როსიამ“ გამართა კამათი მთავრობის მოღონიერების საშუალებებზე. თვით კამათის პრინციპიალური მხარე („როსია“ ა. სტოლიპინის აზრისაა) იმოდენათ საინტერესო არაა, რამდენათ კამათის დროს გამოტყვრენილი ვითარება. მენშიკოვი ხომ ცნობილია, მარა მის სავსებით დასახასიათებლათ არავის არ დაუწერია ის, რაც მან თითონ დასწერა. მენშიკოვი კიდევ 17 ოქტომბრამდი ერთ თავის წერილში წერდა: „რუსეთში რეფორმაა საჭირო და არა რეფორმები“. მაშინ ცენზურა კიდევ მეფობდა და აღნიშნულ ფრაზის გამო მენშიკოვს უსიამოვნობა მიაყენა. ცენზურა ამითაც არ დაკმაყოფილდა და განიზრახა ცალკე წიგნაკში არ გაეშვა ზემო აღნიშნული ადგილი. ამან მენშიკოვი ძლიერ გააჯავრა. ცენზურის უფროსთან მენშიკოვს დიდი ლაპარაკი ქონდა და აი რა მოახსენა „ახალი დროის“ იუდამ ზვერევს: „თქვენ მე ნებას არ მაძლევთ შესაფერ ფორმაში გამოვთქვა ჩემი თავდაჭერილი აზრები და იმავე დროს თქვენი შტემპელი აზის აურიცხველ ურიის გაზეთებს აქაც და პროვინციაშიც. ხომ არსებობს პოლიცია, რომელსაც ცენზურა ქვია! რას აკეთებს ის? ის პატიოსან სიტყვას იჭერს და სიტყვის ხულიგანებს ხელს აფარებს“. ჰკა მაგას, მოსპე მემარცხენე გაზეთებიო! მენშიკოვის შესაფერი რჩევაა სწორეთ.

„როსიამ“ მენშიკოვს პასუხი გასცა პასუხში ნათელი მოფინა იმ საკითხს, რომელსაც ბევრი სუვორინის რედაქცია ასეთი ჯიუტობით უარყოფს. მოგეხსენებათ, რომ პაპა-სუვორინის ორგანოს მთავრობა განცხადებებს აძლევს და ამნაირათ რედ ქციის მხარს უმაგრებს. „ნოვოე ვრემია“ ამაყათ გაიძახოდა, რომ ასეთი საქციელი „დახმარება“ არაა, ასე უყურებს მთავრობა თავის მოქმედებას? ოფიციალური „როსია“ სიტყვით, მთავრობა ამ კითხვაში მემარცხენე გაზეთების თვალთა ხედვის ისარზე დგას. გურლიანდის გაზეთი სწერს: „განა ხაზინა მე მარტო მეხმარებაო? „ნოვოე ვრემია“-ში არაა, რომელშიაც მთავრობა თავის განცხადებებს ბეჭდავს და ამით გაზეთს ხელს უწყობს?

ხანდისხან კარგია მემარჯვენეთა ბანაკში გასეირნება; როგორც ხედავთ, შესაძლოა ბევრი საყურადღებო და საჭირო ცნობების გამოტანა!

* * *

გენერალი სუბოტიჩი პეტერბურგის პრესის დღიურ გმირათ გახდა. მკითხველს ალბათ ახსოვს ეს გვარი. გენერალი სუბოტიჩი რუსეთ-იაპონიის ომში იღებდა პასიურ მონაწილეობას, მერე დაინიშნა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორათ. თავის ლმობიერი და სამართლიანი მოპყრობით სუბოტიჩმა მცხოვრებლების სიყვარული დაიმსახურა. ოქტომბრის დღეებში ის კონსტიტუციურ ნიადაგზე დადგა .. ეს ცოდვები მას არ ეპატივა და ერთ მშვენიერ დღეს დამსახურებული გენერალი არამც თუ ადგილიდან დაითხოვეს, პენსიაც და მუნდირიც წაართვეს. პრესამ იმ ხანებში გაკვრით აღნიშნა სუბოტიჩის დათხოვნა და მიუთითა პენსიის უკანონოთ წართმევაზე.

გენერალი სუბოტიჩი დროებით მიიმალა პოლიტიკურ ჰორიზონტიდან. მხოლოდ მეორე სახელმწიფო დუმის წინ ის გვარი ისევ ამოკურდა გაზეთის ფურცლებზე. მაქსიმ კოვალევსკის გაზეთი „სტრანა“ აგიტაციას ეწეოდა, რომ კადეტებს სუბოტიჩი გაეყვანათ დეპუტატათ დუმაში. მაშინ კომბინაცია არ მოხდა. სამაგიეროთ, ახლა კადეტებმა პეტერბურგის პირველ კურიაში სუბოტიჩის კანდიდატურა წამოაყენეს.

კანდიტურით არ დარჩა კმაყოფილი ა. სტოლიპინი—და „ნოვოე ვრემია“-ს ფურცლებზე სუბოტიჩს „გამცემი“ უწოდა. გაზეთ „რუს“-ში სუბოტიჩმა სტოლიპინს თავდაჭერილი და თან მეტათ მოხერხებული პასუხი გასცა.

ნეტავი რათ ეწვის ა. სტოლიპინს კუჭი?

* * *

ფინლიანდიას დიდი განსაცდელი მოელის... ადვილათ შესაძლებელია, რომ სეიმს ჩვენებური დუმების ბედიღბალი ეწვიოს. საქმე აი რაშია: 1872 წ. ფინლიანდიაში ადგილობრივი ჯარი იდგა. ფინლიანდიის მცხოვრებლები სამხედრო ბეგარას საკუთარ სამშობლოში იხდიდენ. ასეთი მდგომარეობა საშიშოთ მოეჩვენა ჩვენ ბიუროკრატიას და 1891 წ. ფინლიანდიაში ადგილობრივი ჯარი მოსპო. გავიდა ცოტა ხანი და გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალით ფინლიანდიის

*) საარჩევნო კანონში ხელუხლებელი დარჩა ის მუხლი, რომლის ძალითაც რუსეთის ყველა გუბერნიებიდან უნდა არჩეულ იქნან ცალკე დეპუტატები გლეხთა კურიიდან მხოლოდ ასეთ დეპუტატების რიცხვი შემცირებულ იქნა. ამასთან ახალ კანონის ძალით რუსეთის 6 გუბერნიიდან უნდა გაიგზავნოს თითო დეპუტატი მუშათა კურიიდან.

ახალგაზრდობას სამხედრო ბეგარა რუსეთში უნდა მოეხადა. ამ ნიადაგზე დიდი მოძრაობა დაიწყო. საბედნიეროთ, ოქტომბრის დღეებმა მოუსწრო და ნოემბრის მანიფესტმა ყველა „ახალი მმართველობის" ბრძანებანი გააუქმა, სხვათა შორის გაუქმებულია 1891 წ. ბრძანება, მარა არაა აღდგენილი 1872 წ. უქაზი. ასეთ ანორმალურ პირობებში იმყოფება დღეს ფინლიანდია სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ. ბიუროკრატიამაც ერ იცის რა ქნას. სანამ დრო და ადგილის მიხედვით ბიუროკრატია რამეს მოიგონებდეს, მან 20 მილიონი მარკის გადახდა მოსთხოვა წლიურათ ფინლიანდიას სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებისათვის. დღეს „20 მილიონის კითხვა" სეიმს გადაეცა გადასაწყვეტათ. მთელი ფინლიანდიის ხალხი უკანონოთ თვლის გადასახადს, მარა მარტოთ მარტო სოციალდემოკრატიული დეპუტატებია ბიუროკრატიის მოთხოვნის წინააღმდეგი. დანარჩენი პარტიები მოთხოვნის უარისყოფას სახიფათოთ თვლიან. მათი ფიქრით სეიმის ასეთ გადაწყვეტილებას ძველი რეჟიმის დაბრუნება მოყვება.

სეიმმა ჯერ-ჯერობით ფეთაფაკი თავიდან აიცდინა, საქმე გამოსარკვევათ კომისიას გადასცა. კომისიიდან კითხვა მაშინ უნდა დაუბრუნდეს სეიმს, როდესაც ფინლიანდიის ხალხის წარმომადგენლები ამას მოსახერხებლათ დაინახავენ.

ასეთია ფინლიანდიის კონსტიტუციის ძალღონე! ასეთ მაგარ საძირკველზეა იქ ახალი წესწყობილება აგებული!...

# ახალი ამბები

**ახალი გაზეთი.** დღეს გამოვა ახალი კვირეული გაზეთი „ტრამვაის ფურცელი" ს. კორნევკის რედაქტორობით.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, თფილისის თვითმართველობის მოსამსახურეებს, რიცხვით 800 კაცს, განზრახვა ჰქონდათ დაეარსებინათ საამხანაგო სავაჭრო დაწესებულება, როგორც ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება არის. ამის გამო აურჩევიათ განსაკუთრებული კომისია რვა კაცისაგან შემდგარი: პ. ო. ჯანარიანი, პ. ნ. შარაფიანი, ა. გ. ხარაზიანი, სავაჭრო სამეურნეო განყოფილების მოხელეები: ა. ხახანოვი, ლ. როხლინი, ქიმიკოსი ალიბეკოვი, ბ. კარსეგოვი. ამათ ევალებათ ყველა საჭირო მასალის შეგროვება და პროექტის შემუშავება ზემოხსენებულ დაწესებულებისათვის. ამ დღეებში შედგება საზოგადოება დამფუძნებელი კრება.

✦ **თავის მოწამვლა.** ალექსანდრე ქიქოძეს ამ რამდენიმე დღის წინეთ თავი მოუწამლავს: საქმე ასე ყოფილა. იგი ყოფილა რეალურ სასწავლების მეოთხე კლასიდან გამოსული. რის შემდეგ სტამბაში უმუშავნია ასოთ-აწყობათ მას ისევ სწავლის გაგრძელება უსურვებია. რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში ეგზამენი ვერ ჩაუბარებია, რისთვისაც მშობლებს და ნათესავებს მისთვის უკმაყოფილება გამოუცხადებიათ. ალექსანდრეს ყველა ეს ვერ აუტანია და თავი მოუწამლავს.

✦ **მუსულმანთა საეზდი.** უკვე გაიხსნა ბაქოში კავკასიის მუსულმანთა მასწავლებლების სიეზდი მახმუდბეკოვის თავმჯდომარეობით. უკვე ქონდათ 4 სხდომა. პირველი განსახილველი საგანი სიეზდისა არის კავკასიაში მუსულმანთა სასწავლებლების წესიერათ მოწყობა და წარსულ წელს მომხდარ სიეზდზე მიღებული პროგრამის განხილვა.

✦ **ქალ. საბჭოს წინადადება.** ქალაქის საბჭო აცნობებს თფილისის პოლიცმეისტერს, რათა მან მიიღოს შესაფერისი ზომები—სადაც ცარიელი ადგილები არის შემოუზღუდველი, აუცილებლივ შემოერტყას მას ღობე ან გალავანი, რადგანაც ამ ადგილების პატრონები ყურადღებას არ აქცევენ და ამით მცხოვრებლებს აძლევენ საშუალებას ყოველნაირი უსუფთაობით გაავსონ ადგილები.

✦ **ქალ. საბჭოს წინადადება.** ქალაქის საბჭო აცნობებს თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებას, რომ მისი მხრით არაფერი დაბრკოლება არ არის გაიხსნას ვაგონების მიმოსვლა ავლაბარ-ნავთლუღის კონკის გზაზე.

✦ **დაპატიმრება.** ამ დღეებში პოლიციამ გაჩხრიკა სახლი პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების მოხელის გეორგ გასპ. შარაფიანის, წყნეთის ქუჩაზე პ. პაინის შენობაში. საწინააღმდეგო არაფერი აღმოუჩენიათ. შარაფიანი დაპატიმრებულ იქნა.

✦ **კერძო თათბირი.** 6 სექტემბერს დაშნაკცაკანების ჯგუფს და დირექტორს ტრამვაისას ქონიათ კერძო თათბირი იმის შესახებ, თუ კანდიდატების თავისუფალ ადგილებზე ვინ უნდა ადგინდეს. როგორც თათბირიდან გამორკვეულა დირექტორიც და დაშნაკცაკანების ჯგუფიც იმ აზრის ყოფილან რომ კანდიდატებს ირჩევდეს თვით დირექცია... ამნაირათ თურმე დირექტორი მხურვალე აგიტაციას ეწევა მოსამსახურეებში რომ მუშების მიღება ეყოს სრული უფლება მისი და არა მოსამსახურეებისა. დაშნაკელებიც ხელს უწყობენ თურმე ამაში.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** გუშინ დილის 10 საათზე მიხაილოვის საავადმყოფოში მოიტანეს გვამი ჩ. ვეტცელის სიძისა. იგი 6 სექტემბერს ღამით მისულა ცოტა შეზარხოშებული თავის სახლში, ცოლთან უსიამოვნება მოსვლია, როდესაც ცოლი თავის მშობლებთან წასულა, მას თოკით თავი ჩამოუხრჩვია. დარჩა ცოლი და ექვსი შვილი.

✦ 6 ენკენისთვეს თფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე გეურკ ტატულოვისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ბომბების და ასაფეთქებელ მასალის შენახვას. ბრალს სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი კოროლკოვი, იცავდა ნაფიცი ვექილი კ. ჯაფარიძე. სასამართლომ ორი საათის თათბირის შემდეგ უდანაშაულოთ იცნო. პროკურორის ამხანაგი განაჩენს არ დაეთანხმა და პროტესტი გამოუცხადა. ბრალდებული თავმდების ქვეშ გაანთავისუფლეს. იმავე დღეს იმავე სასამართლოში გაირჩა საქმე დოლჟანსკისა. მას დვორნიკის მოკვლის განზრახვას აბრალებდნენ. სასამართლომ ისიც გაამართლა. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ივანე კაჩუროვი.

✦ **თფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** თელავის მაზრის სოფ. ალვანის მცხოვრები ლაზარე ზარიძე პოლიციის ბრძანებას აუსრულებლობისათვის დაპატიმრებულ იქნა ციხეში სამი თვით. თფილისის მცხოვრებს სერგ. ივანიშჩევს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის აეკრძალა თფილისის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე. სიღნაღის მაზრის, სოფ. ანოპის მცხოვრებს შაქრო შიოლაშვილს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის აეკრძალა ცხოვრება თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის. დაბა ქოტორის (სიღნაღის ახლოს) მცხოვრები დათა ნადირაშვილი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის გადასახლებულ იქნა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—სახლის პატრონები: მე 7 საპოლიციო უბნისა გეო ხუციტაშვილი, ბოგ. არუთინოვი, პატო საკოვი და მოვაჭრეები იმავე უბნისა ალ. თუმმალოვი, ნერ. ავეტიქოვი და ალ. კაპლანიანცი დაჯარიმებულ იქნენ იმდენი სუმით, რომელიც შეინახავს ერთ მეეზოვეს.—რაჭის მაზრის სოფ. ნარაკეტის მცხოვრები ბიჭია ერაძე და სოფ. ბასარიჩორის (ნოვობაიაზეთის მაზრა) მცხოვრები სედრაკ პოღოსიანი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, როგორც მავნე პირნი საზოგადოებისა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იგზავნებიან პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—სახლის პატრონი ბებული მდივანი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა 15 მ.

✦ დაპატიმრება. 6 სექტემბერს, „ოხრანის" განყოფილების აგენტებმა დააპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი აბდულ-მამედ-ოღლი, რომელმაც 31 აგვისტოს ბოტანიკის ქუჩაზე რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა. ამას გარდა მას ბრალდება 5 სექტემბერს კაფერაძის მოკვლა.

✦ წვრილი ამბები. 6 სექტემბერს, საღამოს, სასულიერო სემინარიის პირდაპირ ვიღაცას ელექტრონის ვაგონ ქვეშ პეტარდა დაედო. პეტარდა გასქდა, მაგრამ არავინ დაუშავებია.—5 სექტემბერს, ღამით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს იგ. ჩუკურაშვილის დუქნიდან, პეტრე-პავლეს ქუჩაზე, გაუტაცნიათ 224 მან. ფულათ და 10 გუდა ყველი.—5 სექტ. საღამოს 6 საათზე ელისაბედის ქუჩაზე სახლ №1 ფქვილით მოვაჭრე მამედგასან იზმაილოვს შეუვარდა 4 შეიარაღებული უცნობი და აუხდიათ ფული, მაგრამ გაჰკრა მიემველა ნოქარი და ბოროტ-გამზრახველები [illegible].—4 სექტემბერს მარტიროსიანცის თუთუნის მაღაზიის გაჩხრეკის დროს, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა, აღმოაჩინეს: რევოლვერი 26 ვაზნით, უნებართვოთ. 80 კოლოფი სიგარა უბანდეროლოთ, 7 გირვანქა თუთუნი, 86 კოლოფი პაპიროსი, 6 გირვანქა ჩაი, 10 ბოთლი ლიქიორი და სხვ.

## დეპეშა
(შემთხვევითი).

**ქურდამირი.** ფოსტაში მოსულ ამანათში აღმოჩნდა ჯოჯოხეთის მანქანა. ამანათის გახსნის დროს სასიკვდილოთ დაიჭრა „უჩასტკის" უფროსი ინჟინერი ნოვაშენი.

## ბათუმის ქრონიკა

— თ. ილია ჭავჭავაძის მოკვლამ ბათუმის საზოგადოებაც შეაწუხა და ამოძრავა. ორშაბათს, 3 ენკენისთვეს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქალაქის თავმა თ. ანდრონიკაშვილმა წაუკითხა საბჭოს ტელეგრამა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ გამოგზავნილი შესახებ ილიას მკვლელობისა; მოკლეთ შეეხო ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რის შემდეგ საბჭომ, თავმჯდომარის წინადადებით, პატივი სცა მოკლულის ხსოვნას ფეხზე წამოდგომით. საბჭომ დაადგინა: 1) მიენდოს ქალაქის გამგეობას აირჩიოს წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძის დასაფლავებაზე დასასწრებლათ და 2) გადახდილ იქნას პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლათ. შემდეგ გადავიდნენ მორიგ კითხვებზე.

— სამშაბათს, 4 ენკენისთვეს, ქართ. სკოლის სამზრუნველო კომიტეტის განკარგულებით, გადახდილ იქნა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრნენ ამ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლები, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი და სხვები. პანაშვიდის დაწყებამდე სკოლის ზედამხედველმა ი. გოგოლაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოკლეთ გააცნო ხალხს ილიას ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა და უთხრა ისიც, თუ რა დამოკიდებულება ქონდა ი. ჭავჭავაძეს კერძოთ ბათუმის ქართულ სკოლასთან.

— ოთხშაბათს, 5 ენკენისთვეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ძველ სობოროში, გადიხადეს პანაშვიდი ილიას მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრნენ: გუბერნატორი ფონ-ზარკაუ და მისი თანაშემწე, ქალაქის თავი თ. ანდრონიკოვი, ქალაქის გამგეობის წევრნი: გრ. ვოლსკი, გ. ყურული და ბევრი სხვები. სიტყვები წარმოთქვეს: მასწავლებელმა ალ. ნათაძემ და მღვ. ს. თოთიბაძემ.

— ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე დასასწრებლათ ბათუმიდან არჩეულნი არიან: ქალაქის გამგეობის წევრი გ. ყურული, ს. მდივანი, ზიაბეგ აბაშიძე და ა. მჭედლიშვილი.

— ბათუმში დღეს გამოვიდა ყოველ-დღიური გაზეთი „Черноморскій Вѣстникъ"-ი.

— ბათუმის სახალხო უნივერსიტეტის წესდება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა, მხოლოდ ლექციების კითხვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ამბობენ, ლექციების კითხვაც მალე დაიწყებათ. ვნახოთ...

## რუსეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

ბოლო წლების ცხოვრების ვითარების უმთავრეს ნიშანს შეადგენს ხალხის და უფრო მუშათა კლასის სიღრმიდან გამორკვევა და მისი აქტიურათ ცხოვრების მსვლელობაში ჩარევა. ეს აყენებს ხალხის წინ სხვა და სხვა კითხვებს, რომლის გადაწყვეტაც უსათუოთ საჭიროა. ამასთან ხალხი ყოველ დღით უფრო და უფრო ხდება ძალათ და ამიტომ სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ცდილობენ თავის ინტერესებისათვის გამოიყენონ ეს ძალა. ჩნდება მრავალგვარი პარტიები, პროგრამები, ტაქტიკური ლოზუნგები, რომლებთანაც ასეთ თუ ისეთ დამოკიდებულებას ხალხის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის. საჭიროა ყველა ამ კითხვების გონივრულათ აწონ-დაწონა. მაგრამ რა შეადგენს საფუძველს ამ შეხედულებების, რითი ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ კითხვების გადაჭრის დროს, რაზე ემყარებიან? ამაზე პასუხის მიცემა ადვილია, რადგანაც ჩვენ თითონ მოწმენი ვართ აზრების შეჯახებისა. აიღეთ მაგალითად კითხვები—აგრარული, ეროვნული, ტაქტიკური (მაგ. კითხვა რევოლიუციონურ დემოკრატიულ მართველობაში მონაწილეობის შესახებ). ამიტომ ჩვენ ვეცდებით დავასურათოთ (ისტორიულათ, მოკლეთ) ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა რუსეთის, მისი კლასებათ დაყოფა და ამ კლასების ხასიათი.

რასაკვირველია ყოველ მხრივ აღწერას აქ არ ექნება ადგილი. ჩვენ მივუთითებთ მარტო ზოგად მოვლენებზე და მსურველთათვის აღვნიშნავთ ლიტერატურას, რომლითაც შეიძლება სარგებლობა საქმის უკეთესათ შესწავლისთვის.

სხვა ნაწილებთან შედარებით საკმაოთ შესწავლილია უფრო ევროპიული რუსეთი, ჩვენ იძულებული ვართ უმთავრესათ მასთან ვიქონიოთ საქმე. რასაკვირველია რამდენათაც შეიძლება, ჩვენ მთელ რუსეთსაც შევეხებით.

ეკონომიურ ანუ წარმოებრივ მოქმედებას უძახიან იმ გვარ მოქმედებას, რომელიც მიმართულია კაცის უმთავრესი მოთხოვნილებების (საზრდო, ტანთ-საცმელი და თავშესაფარი) დაკმაყოფილებისაკენ და შრომის იარაღის გაკეთებისაკენ. წარმოება, რასაკვირველია, განიყოფება მრავალ დარგებათ, როგორც—ნადირობა, მეურნეობა, ფაბრიკული წარმოება, თევზის ჭერა და სხვა. აქედან ჩვენ ავიღებთ მარტო უმთავრესს, სახელდობრ: ინდუსტრიას, („კუსტარული", ფაბრიკა-ზავოდური და სამთო წარმოება) მეურნეობას (მიწის დამუშავება, ტრანსპორტი—მისვლა-მოსვლის და გადატან-გადმოტანის საშუალებანი) და ვაჭრობას. ასეთი წესრიგით ჩვენ გავეცნობით ზედმიყოლებით წარმოების ამ დარგებს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ 125 მილიონ მცხოვრებთაგან (ორივე სქესისა), რომელიც ითვლებოდა 1897 წ. მთელ რუსეთში ზემო ჩამოთვლილ დარგებში დანაწილებულია 86 პროც. ანუ 107 მილიონი.

მაშ დავიწყოთ ინდუსტრიიდან—დამამუშავებელ წარმოებიდან.

ჩვენ რომ რუსეთის ისტორია შევადაროთ დასავლეთ ევროპის ისტორიას, ერთ საყურადღებო თავისებრობას შევამჩნევთ. ეს უკანასკნელი გამოიხატება რუსეთის საოჯახო წარმოების უფრო ჩქარა ბაზრულ წარმოებათ გარდაქმნაში. მაგალითათ, უკვე გერმანიის იმპერატორის ელჩი სიგიზმუნდ გერბერშტეინი, რომელმაც მეთექსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაიარა მოსკოვი, მოწმობს რომ კალუგიდან ჩამოაქვთ მოსკოვში გასასყიდათ სხვა და სხვა საოჯახო ნივთები ხისგან დამუშავებული. საქმე იმაშია, რომ რუსეთი იმ დროს რამდენიმეთ სხვა რუსეთს წარმოადგენდა ვინემ დასავლეთი. უკანასკნელში არ იყო მასთანა კარგი ბუნებრივი საშუალებანი მისვლა მოსვლის, როგორც რუსეთში. აქ ზამთარში არსებობდა შესანიშნავი მარხილის სწორ და გაშლილ ველზე გაჭიმული გზა, ზაფხულში კი ამის მაგიერობას მარჯვეთ სწევდენ ნელი, ფართე და ღრმა მდინარეები რომლითაც შედარებით იაფათ—მაგალითათ 1674 წ. მოსკოვიდან არხანგელსკამდე ფუთზე 19 კაპ.—შეიძლებოდა დიდ მანძილებზე ათასგვარ საქონლის გადატან გადმოტანა. აი ამის გამო, მაშინ, როცა დასავლეთი დაყოფილი იყო მრავალ განკერძოებულ ეკონომიურ ცენტრებათ 10—15 ვერსამდე ირგვლივ, რუსეთის სავაჭრო ცენტრები საქმეს სჭერდენ ირგვლივ 150 ვერსამდე და ქალაქი მოსკოვი ვაჭრობდა ირგვლივ 500 ვერსის მანძილზედაც კი. ამ გარემოებას ჰქონდა მნიშვნელოვან გავლენა წვრილ მწარმოებლის ბედზე. თუ დასავლეთ ევროპას გლეხ მწარმოებელს შეეძლო დილით ჩასულიყო ბაზარზე, ევაჭრა თავისი ნამუშევარით და საღამოთი დაბრუნებულიყო შინვე, რუსეთის „კუსტარის" ეს შეუძლებელი იყო ბაზრამდე სიშორის გამო. ამიტომაც შორი და ფართე ბაზარი იწვევდა საქონლის ფართე გასაღების საჭიროებას. მაგრამ ეს მოუხერხებელი იყო წვრილ მწარმოებლებისთვის ცალცალკე—მათი წარმოების წვრილ და შეზღუდულ ხასიათის გამო და იწვევდა აუცილებლობას მსხვილ ვაჭრის სცენაზე წამოყენებას. ეს უკანასკნელი ჯერ მოევლინებოდა „კუსტარებს" კომისიონერის (შუამავლის) სახით, რომელიც იღებს განსაზღვრულ პროცენტს სხვის საქონლის გასაღებაში, მერე, გამაგრდებოდა რა ბაზარზე, სრულიად თავის კისერზე იღებდა გასაღების საქმეს და პირდაპირ ყიდულობდა მწარმოებლებისაგან საქონელს, რომ უფრო მეტი სარგებლით გაეყიდა ის მერე. ასე ნელ-ნელა ის უფრო მაგრა იკიდებდა ფეხს ბაზარზე, ხდებოდა ერთად-ერთ შუამავლათ გლეხ და მომხმარებელის შორის, გზას უჭრიდა მას უკანასკნელისაგან და ამით იპონავებდა. იმან იცოდა მარტო, რა ფასებია ბაზარზე, როდის რაა საჭირო და მისი ნება იყო რა ფასსაც მისცემდა გლეხ-მწარმოებელს მის ნამუშევარში. საქმის ამისთანა ვითარება რასაკვირველია, დიდ მოგებას—200 და 300 პროც.—უნარჩუნებდა ხელში ვაჭრის, უფრო აძლიერებდა და ამსხვილებდა მას, ასე რომ იმ დროის მეთვალყურე კოტოშიხინის მონობით ის ატრიალებდა წელიწადში 20—100 ათასამდე მანეთს, რაც მაშინ ეხლანდელ მილიონებს უდრიდა. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთი ჩაბმული იყო გაუთავებელ ომებში. XVIII ს. დასაწყისში დასავლეთ ევროპაში უკვე არსებობდა და მოქმედებდა წესიერათ მოწყობილი ჯარი შესაფერ სამხედრო ტეხნიკით-ზარბაზნებით ფლოტით და ომის ფინანსიურ მხარის (ჯარის ჩაცმა-დახურვა და შენახვა, საჭირო ფულის შოვნა-მიწოდება და სხვა) ორგანიზაციით. ვერაფერ ამის მსგავსს ვერ ნახავდით რუსეთში. ჯარის შემადგენლობა ვიწრო წოდებრივი და არა ნაციონალური იყო, სახელდობრ წვრილი მემამულეები ვალდებულნი იყვნენ გამოსულიყვნენ საომრათ თავის სურსათით, იარაღით და სხვა. საომარ ტეხნიკის მდგომარეობაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირსი მისთანა წერტილზე იდგა ის; საკმაოა უჩვენოთ იმაზე, რომ საომარი მასალა უმთავრესათ იწერებოდა საზღვარგარეთიდან და ფლოტი კი შექმნილი იყო მარტო პეტრე დიდის მეფობის დროს. ცხოვრება კი დაჟინებით თხოულობდა ამ მხრივ დასავლეთთან მხარში ამოდგომა-გათანასწორებას. რეფორმების აუცილებელი საჭიროება თვალსაჩინო იყო. ამითი ხასიათდება პეტრე დიდის ხანა. სახელდობრ ცხოვრება აყენებდა ორ გამოცანას, 1) ომისთვის საჭირო მასალის—იარაღების! ჯარის ჩაცმა-დახურვის შინ მომზადებას, 2) მატერიალური საშუალების წყაროს აღმოჩენას და გადიდებას. მაგრამ ისედაც უშველებლათ აწეული გადასახადები—თუ 1680 წ. მათი ჯამი შეადგენდა ერთნახევარ მილიონ მანეთს 1724 წ. უკვე მიაღწია 8 ნახევარ მილ. ესე იგი 8 ჯერ აწეული იყო რომელიმე 40 წელში—საკმაო არ იყო აშკარა ხდებოდა, რომ ხარჯის შემოსავლის და მაშასადამე მისი მწარმოებლების აუწევლად საქმე წინ ვერ წავიდოდა. ამითი აიხსნება პეტრე დიდის მთავრობის მეცადინეობა ფაბრიკა-ზავოდურ და სამთო წარმოების, საზოგადოთ, ხალხის შრომის ტეხნიკის განვითარებისაკენ. თუ ჩვენ მოვიგონებთ რომ ამ საქმისათვის საჭიროა კაპიტალი და ეს უკანასკნელი კი მსხვილ ვაჭრების ხელში იყო, ჩვენ გავიგებთ რომელ საზოგადოებრივ ჯგუფზე ემყარებოდა პეტრე დიდი თავის დაწყებაში. მართლაც სახელდობითი სიები პეტრეს დროს ფაბრიკანტებისა ნათლათ ამტკიცებენ ამ ფაქტს. უმთავრესი ნაწილი ამ ფაქტებისა ეკუთვნის რუს ვაჭრების წოდებას და სრულიად მცირე საზღვარგარეთელ არა რუსებს და თავად-აზნაურებს.

გაჩნდენ ფაბრიკა-ზავოდები. თუ პეტრემდი არც ერთი მსხვილი წარმოება არ მოქმედობდა, პეტრეს მერე უკვე 233 ხაზინის და კერძო ფაბრიკა-ზავოდი ითვლება.

გადავიდეთ მათი უფრო დაწვრილებითი განხილვაზე.

ფაბრიკებს, რომელზედაც ჩვენ ეხლა გვაქვს ლაპარაკი, ჩვეულებრივათ უწოდებენ პოსესიურ ანუ პეტრეს ფაბრიკებსა. მათი წარმოების საგანს შეადგენდა ან საქონელი, რომელსაც თვით ხაზინა ასაღებდა მაგალითათ მაუდი, ტილო, საწერი ქაღალდი, და ან საქონელი,

— დანამდვილებით გავიგეთ, რომ ამ მოკლე დროში ქ. ქუთაისში გამოვა ყოველდღიური გაზეთი „ცისკარი“.

# რუსეთის პრესა.

**ოფიციოზების კამათი.**

ამას წინათ გაზ. „ნოვ. ვრემია“ და „როსია“ დაეტაკენ ერთმანეთს. პირველმა წააყვედრა მეორეს, რომ იგი ხაზინის ულუფაზეა გასუქებული და რიგიანათ კი არ ემსახურება მთავრობას.

ეხლა „როსია“ სიტყვას უბრუნებს:

„თუნდა კიდეც ვაღიაროთ, რომ ხაზინა ეხმარება გაზ. „როსიას“, განა ხაზინა „ნოვ. ვრემიას“ კი არ ეხმარება, განა იმას კი არ აძლევს დასაბეჭდათ თავის განცხადებებს“?..

ოფიციოზები ნელ-ნელა თვითვე ამჟღავნებენ, რომ იგინი თავის კალამს ჭეშმარიტებას კი არ ამსახურებენ, არამედ სწერენ იმას, რასაც უკარნახებს მათი კლიენტი და ბატონი მთავრობა. ცხადია, რა ფასი უნდა ჰქონდეს მათს ნაწერებს. მაგრამ მათ შორის ატეხილი კამათი მაინც საგულისხმოა, გაზ. „როსია“ სწერს:

„იგი (მენშიკოვი) გვეთანხმება, რომ მართალი ვიყავით, როცა ვუსაყვედურეთ ულოღიკობა, იგი აღიარებს, რომ მართალია (ერთხელ) მოითხოვა კადეტების სამინისტრო... კადეტების სამინისტრო ხომ უნდა იყოს პარლამენტარული, ე. ი. მეფეს უნდა წაერთვას უზენაესი უფლებანი უზენაესი მართვა-გამგეობისა... მაგრამ მოწყურებული მშრალზე გამოსვლას, იგი (მენშიკოვი „ნოვ. ვრ“, ცნობილი პუბლიცისტი) თავს იმართლებს იმით, რომ „მგონია კადეტთა სამინისტროს შედგენის აზრი უტრიალებდა თვით ეხლანდელ მინისტრ-პრემიერსაც, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა გამართული კადეტების ლიდერებთან“. ამაზე ჩვენ შეგვიძლიან ვუპასუხოთ: „ტყუილია“. პირველ დუმის გარეკის შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოლაპარაკება ჰქონდა გამართული საზოგადოებრივ მოღვაწეებთან მარა ამ მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა ზოგიერთ ძირითად უთანხმოების გამო“...

თუ დავუკვირდებით ამონაწერ სტრიქონებს, იგი საყურადღებო ამბავს ამჟღავნებს. სახელდობრ, როდესაც პირველი სახელმწიფო დუმა წრიალებდა სამინისტროს წინააღმდეგ: „მოგვშორდით, გადადექით სამსახურიდან, თქვენ ადამიანების სისხლში გაქვთ ხელები გასვრილიო“! დუმის გარეთ რევოლიუციონური ორგანიზაციები იმუქრებოდენ მრისხანე სახალხო გამოლაშქრებას, აი მაშინ მთავრობის ბანაკში მართლაც ტრიალებდა აზრი კაპიტულიაციისა; მარა ბოლოს ისევ გული მოიცეს და გადაწყვიტეს „გენერალური ომი“. გარეკილ იქმნა დუმა, მარა რაკი მთავრობას ჯერ ისევ სდევნიდა ფიქრი სახალხო გამოლაშქრების. მან მოლაპარაკება დაიწყო „საზოგადო მოღვაწეებთან“ გრ. გეიდენთან და სხ. ახალ, „საზოგადოებრივ“, „სახალხო“ სამინისტროს შესადგენათ, ხოლო რაკი დრო მიდიოდა და პოლიტიკურ ცაზე არავითარი ქარიშხალი არ იძროდა, მთავრობამ თანდათან, მარა ლონივრათ, რკინის მკლავები მოხვია მთელ ქვეყანას და აი ბიუროკრატიის სუნთქვა დღესაცა სწამლავს სიცოცხლეს...

## ი. ჭავჭავაძის მოსვენება თფილისში

გუშინ 7 სექტემბერს, 2 ს. და 30 წ. მოასვენეს საგურამოდან საქართველოს სამხედრო გზით ტრაგიკულათ მოკლული ი. ჭავჭავაძე, ვერის ჯვართან მას შეხვდენ დეპუტაციები სხვადასხვა დაწესებულებებიდან გვირგვინებით. ვერის ჯვრის ცოტა ზემოთ; ოლგინის ქუჩის დასაწყისში მიცვალებული შეაჩერეს, იქ წარმოითქვა სიტყვები. შემდეგ პროცესია გაემართა ოლგინის ქუჩით და გოლოვინის პროსპექტით სიონის ტაძრისაკენ. წესიერებას იცავდა განსაკუთრებით არჩეული კომისია, მას ეხმარებოდა ად. ადმინისტრაცია. პროცესიის დროს გალობდა რამდენიმე მგალობელთა გუნდი: სათ.-აზნაურო გიმნაზიის, ეპარქ. სასწავლებლისა, სამრევლო სკოლების და თავისუფალი გუნდი ქოლოჯებში გამოწყობილნი. იყო მუსიკა ზოგიერთ გიმნაზიიდან. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის კანცელარიის ფანჯრები შავათ იყო შეიოსილი, შუა კედელში ჩამოკიდებული იყო გარედან ი. ჭავჭავაძის სურათი შავათ შემოსილი. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

## პარტიების ცხოვრებიდან

**რ. ს.-დ. მ. პ—ის პეტერბურგის კომიტეტმა** შეიმუშავა ქალაქის მომავალ საერთო კონფერენციისთვის შემდეგი დღიური წეს-რიგი: 1) მოხსენება შტუტგარტის კონგრესის შესახებ, 2) საარჩევნო კამპანია, 3) ფინანსიურ წესდების გადასინჯვა, 4) პეტ. კომიტეტის არჩევნები. პეტ.-კომ. ჩვეულებრივ გამოირჩევ-რულ ვადით ირჩევა, რომელიც ამ ჟამათ გადის. კომიტეტის სხდომაზე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა რაიონებს უკვე აურჩევიათ თავიანთი წარმომადგენლები ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის, რომელიც ამ დღეებში უნდა შეკრებილიყო და თავის მოვალეობის ასრულებას შესდგომია.

გადაწყვეტილია პეტერბურგის ქალაქის კურიისათვის დაუყოვნებლივ შესდგეს **ს.-დ. საუბნო-სარაიონო კომისიები,** რომლებშიაც უნდა შევიდენ უფრო მოქმედი პარტიული მომუშავენი და სოც. დ.-იის თანამგრძნობი პოპულიარული პირები. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებათ გადაწყვეტილია მიიზიდონ პროფეს. კავშირები, სადეპუტატო კანდიდატების ვინაობა, რომლებიც უკვე დანიშნული ყავთ, გადაწყვეტილია საიდუმლოთ დაიცვან პოლიციურ მოსაზრებათა გამო.

**რ. ს.-დ. მ. პარტიის პეტერბურგის ნარვის რაიონის** კონფერენციამ, რომელიც 30 აგვისტოს მოხდა, განიხილა კითხვა საარჩევნო კამპანიის გატარების შესახებ. ამ რაიონის მუშა-ამრჩეველთა განწყობილება ს.-დ. კანდიდატების სასარგებლოთ ლაპარაკობს. შავრაზმელები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან თავიანთი კანდიდატების გასაყვანათ, მაგრამ, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, შავრაზმული საფრთხე არ არსებობს. უპარტიონიც ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს. კონფერენციამ ს.-დ. კანდიდატების გასაყვანათ გადაწყვიტა გააძლიეროს საგიტაციო მოქმედება, არჩეულ იქნა 4 კაცისაგან (2 ბოლშევიკი, 2 მენშევიკი) სარედაქციო კომისია ამომრჩევლებთა მიმართ ფურცლის შესადგენათ. სიტყვიერი აგიტაციის გასაწევათ გადაწყდა მიმართონ ზავოდების ადმინისტრაციას წინასწარ საარჩევნო კრებების გასამართავათ. არჩეულ იქნა კომისია სამი კაცისაგან.

**შრომის ჯგუფის** ცნობებით, მესი შანსები არჩევნებზე ძლიერ მატულობს. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, შრომის ჯგუფს იმედი ქონდა, რომ ახალი საარჩევნო კანონი შეაძლებინებს თავისი კანდიდატების გაყვანას მხოლოდ ორ-სამ გუბერნიაში. მას შემდეგ პროვინციის განყოფილებებმა გააჩაღეს ენერგიული მუშაობა, და ახლა, ცენტრ. კ—ის ერთმა-წევრმა, რომელსაც გადამეტებულ იმედიანობას ვერავინ დასწამებს, წაიკითხა მოხსენება, რომელიც მას შეუდგენია პროვინციებიდან მოსულ ცნობების მიხედვით, და რომელშიაც ციფრებით ამტკიცებს, რომ **შრომის ჯგუფს ბევრი შანსი აქვს გაიყვანოს მესამე დუმაში 50-მდე დეპუტატი.** ცენტ. კ—თან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო ადგილობრივი არჩევნების ხელმძღვანელობა. საარჩევნო ბლოკების და შეთანხმების შესახებ ც. კ—ტმა დაადგინა: იმ ადგილებში, სადა მემარცხენეთა დამოუკიდებლათ გამოსვლას შეუძლია ხელი შეუწყოს რეაქციონურ პარტიების გამარჯვებას, ასეთ ადგილებში შრომის ჯგუფი შეთანხმებას ახდენს ყველა ოპოზიციონურ ჯგუფებთან—მხოლოდ კადეტებზე უფრო მარჯვნივ-კი არა.

**შრომის ჯგუფის კანდიდატებათ** როგორც ისმის, ასახელებენ პროფ. ლუტუგინს, ნაფ. ვექ. ზარუდნის და დეპლანსონს.

**მუსულმანთა პარტიამ მოაწოდება** გამოსცა, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: „რუსეთის პროგრესიულო მოქალაქენო, განურჩევლათ სარწმუნოებისა და ეროვნებისა! დიდია და ახლოა ის საფრთხე, რომელიც წინ უდგას ჩვენი საერთო სამშობლოს ეკონომიურ და საზოგადოებრივი სახელმწიფო წყობილების განახლებას. შემოკრბით ყველანი თავისუფლების და რუსეთის ხალხთა განათლების დროშის ქვეშ, აირჩიეთ ამ დროშის ღირსი დეპუტატები და მაშინ იგი, ეს დროშა ადამიანთა ბედნიერებისა; თავისთავათ აღიმართება თავრიდის სასახლეზე და, დიდებულათ მოფრიალე, მადლიანი სხივით და სითბოთი გაათბოს და გაანათლებს რუსეთის ყველა ერებს, რომლებიც ნზათ არიან ყოველგვარი მსხვერპლისათვის, ოღონ რუსეთი ნამდვილათ შეიქნეს დიდებული, ძლიერი და მდიდარი ქვეყანა.

## პროვინცია

**გურია.** საზარელი ამბავი დღეს გურიაში ჩვეულებრივია. ისე დღე არ გაივლის, რომ რამე სამწუხარო, გულის დამძერავი უბედური შემთხვევა არ გაიგო. ყოველივე, რაც გურიაში ხდება დღეს იმალება, იჩრდილება და ქრება ისე რომ, არავის ესმის, არავის გაეგება.

ამ რამოდენიმე დღის წინათ ს. ხვარბეთში მოკლეს გზათ მიმავალი ვ. გოგიტაძე უბრალოთ და უდანაშაულოთ. მკვლელობის მიზეზი [illegible]

1 ეკენისთვეს ს. [illegible] დაიჭირეს მასწავლებელი ბ. [illegible]

ქ. ოზურგეთში დაიჭირეს დან. მაჩულაშვილი, 2 ეკენისთვეს დ. ხიდის-თავიდან დაჭერილი ჩამოიყვანეს ერთი კაცი, საზოგადოთ, ამ ბოლო დროს ისე გახშირდა დატუსაღება, რომ საპატიმროში ტევა არაა. ეს კიდევ არაფერია, უბედურება ისაა, რომ თუ დაგიჭირეს ან სიკვდილი მოგელის და ან ისეთი წამება, რომ სიკვდილიც მოგენატროს. ეს ამ ბოლო ხანებში შემოიღეს გურიაში.

3 ეკენისთვეს სამაზრო კანცელარიაში დაიბარეს გურიის სოფლის მოხელენი: მამასახლისები, მათი თანაშემწენი, ნაცვლები და აგრეთვე დეზერტირები. უკანასკნელთაგან ბევრი დაიჭირეს. დაჭერის მიზეზი არ იციან. დანარჩენს ოზურგეთიდან გასვლის ნება არ მისცეს.

გლეხთა კურიაში დაიწყო ათის თავების არჩევნები; ამ დღეებში მოხდება რწმუნებულების არჩევა გურიაში.

—ულესი

# რუსეთის ამბები

**საარჩევნო კამპანია.** თუმცა ოთესელებს სული ხდებათ და წელი წყდებათ სამხედრო წესების მძიმე უღელ-ქვეშ, მაგრამ დუმის არჩევნების მოახლოვებამ ცოტოდნათ მაინც კიდევ გამოაცოცხლა ისინი. გამოქვეყნებულ საარჩევნო სიებზე ამჟამათ დიდი ლაპარაკი და კრიტიკაა გაჩაღებული. ამომრჩეველთა უმრავლესობა უეჭველათ პროგრესიულია და პროგრესიულ დეპუტატების გაყვანა თითქმის უზრუნველყოფილია. კადეტების პარტიამ ქალაქის პირველ კურიაში წამოაყენა მეორე დუმის დეპუტატათ ნამყოფის პერგამენტის კანდიდატურა. წინასწარ საარჩევნო კრებების, გამართვა მეტათ გაძნელებულია.

**გადასახლებულთათვის ფული შემოაკლდგიათ.** სატუსაღოთა მთავარ გამგეობამ შეატყობინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სულ უფრო იზრდება იმ ადმინისტრატიულ გადასახლებულთა რიცხვი, რომლებიც ხაზინიდან შემწეობას ღებულობენ; მთავარი გამგეობა თხოულობს გადიდებულ იქნას დამატებითი ფული, რადგან, რაც გადადებული იყო, უკვე გამოილია. დაახლოვებითი ანგარიშით მომავალ წლის 1-ლ იანვრამდე საჭიროა 82,000 მან.

---

რომელსაც ხმარობენ საზოგადოების შეძლებული კლასები, როგორც მაგალითათ აბრეშუმი..

თავისი სახელი მიიღეს მათ იმიტომ, რომ წარმოიშვენ პეტრე დიდის მეფობის ხანაში, და იღებდენ მთავრობისაგან დახმარებას. ეს უკანასკნელი სხვადასხვა ფორმებში გამოიხატებოდა. უფრო საჭირო მთავრობისათვის წარმოების სამთო და საიარაღო ზავოდები, მაუდის, ტილოს და იალქნების მკეთებელი ფაბრიკები—ის თვითონ მართავდა და მერე გადასცემდა კერძო პირებს. სხვა შემთხვევებში ხაზინა ხელს უმართავდა ფულის უპროცენტოთ სესხით, მიწების და ყმების გადაცემით, სახელმწიფო სამსახურიდან და გადასახადებისგან განთავისუფლებით და სხვა. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა—როგორც დახმარებას, ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მთავრობა შველიდა საქონლის გასაღებაში: ან თვითონ იღებდა მას, ან ადებდა მაღალ ბაჟს და ამით სპობდა კონკურენციას. 1724 წ. მაგალითათ ბაჟი (50—75 პროც. საქონლის ღირებულების) დაწესდა ტილოზე, აბრეშუმის მატერიაზე, ნემსზე და რკინაზე. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავასკვნათ აქედან, რომ ამ ფაბრიკებს წარმოშობა სრულიად მთავრობის საქმეა. წინააღმდეგ, ფაქტები გვაჩვენებენ, რომ მთავრობის დახმარებას შედარებით ნაკლები ალაგი ეჭირა ამ საქმის დაყენებაში. მაგალითათ, შაფიროვის აბრეშუმის მანუფაქტურა დაარსებული იყო 81 ათას მანეთი კერძო და 36 ათას ხაზინის ფულით. აგრეთვე 1727 წ. ხაზინისაგან გაცემული იყო, როგორც დახმარება, 100 ათას მანეთამდე. ამ ფულით შეიძლებოდა ერთ ან ორ ათეულის ფაბრიკების გაჩაღება, მაშინ როცა ამ წელს დაარსებული იყო 100-ზე მეტი, მაშასადამე მეტი ნაწილი დაარსებული იყო თვით მსხვილ ვაჭრებისგან და ეს ფაქტი კიდევ თვალსაჩინოთ ხდის იმ მოსაზრებას, რომ იმ დროის კაპიტალისტები უმთავრესათ მსხვილ ვაჭრების ჯგუფიდან დაიბადენ. მოყვანილი ფაქტები გვეუბნებიან აგრეთვე იმაზე, რომ ფაბრიკა-ზავოდები საკმაო მსხვილ წარმოებათ უნდა ჩაითვალოს. ამის დასამოწმებლათ მოვიყვანთ კიდევ შემდეგ ფაქტებს: მოსკოვის სახაზინო იალქნის ფაბრიკაზე ითვლებოდა 1162 მუშა, 9 პერმის სამთო ქარხანაზე მიწერილი იყო 25 ათასი გლეხი ორივე სქესისა, პოტემკინის მაუდის ფაბრიკაზე—9 ათასზე მეტი. მაგრამ ეს უშველებელი წარმოებები ძალიან შორს იყვენ თანამედროვე ფაბრიკა-ზავოდებისაგან მაშინ, როცა უკანასკნელებში უსაზღვროთ მეფობს მაშინა. პირველები აშენებული იყო, მანუფაქტურულ სისტემაზე, ესე იგი მართალია, შრომის შორს გაყვანილ დანაწილებაზე, მაგრამ ხელის (ручной) შრომის საფუძველზე. ტეხნიკის ამ დაბალ საფეხურით აიხსნება პეტრეს ფაბრიკების საქონლის დაბალი ხარისხი და ძვირადობა. ამ უკანასკნელნის არსებობაზე სხვათა შორის, ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1727 წ. მოსკოველი ვაჭრები სჩიოდენ ეროვნულ წარმოების საქონლის შედარებით საზღვარ-გარეთელთან სიძვირეზე და სთხოვდენ დასავლეთიდან საქონლის შემოტანის შემსუბუქებას. ასეთი იყო ტეხნიკური მხარე პოსესსიურ ფაბრიკის. გავეცნოთ მაშ ახლა მის სოციალურ მხარეს, გავეცნოთ იმ მუშებს, რომელთაც ბედმა პირველებს არგუნა ფაბრიკა-ზავოდების ამუშავება.

საერთო რიცხვი პოსესიურ მუშების დაახლოვებით 35 ათას აღემატებოდა. ვისგან შესდგებოდა ეს მასსა? საქმე იმაშია, რომ მაშინ XVIII საუკუნის პირველ ნახევარი—ვაჭრებს, რომელნიც როგორც ჩვენ ვიცით უმთავრესათ შეადგენდენ კაპიტალისტებს, ნება არ ჰქონდათ ყმების დაჭერის. ეს ხომ ბრწყინვალე თავად-აზნაურობის განსაკუთრებული უფლება იყო! საზოგადოების მშრომელი ნაწილი კი მთლათ ყმებისაგან შესდგებოდა. რა გამოსავალი იშოვნეს კაპიტალისტებმა? პირველათ მათ დაიწყეს რადგან იძულებული იყვენ მუშათა ჯგუფის შევსება საზოგადოების სხვადასხვა წვრილებიდან. აქ იყვენ: „ბოსიაკები“, მათხოვარა-გლახები, გამოქცეულ ყმები, დამნაშავეებიც კი. მაგრამ მათი დაქირავება ბევრ კარგ არაფერს უქადოდა კაპიტალისტებს, რადგანაც ფაბრიკისათვის, რომელზედაც ყველაფერი ხელით კეთდებოდა, საჭირო იყო უფრო გაწვრთნილი, დახელოვნებული მუშები. სხვა არაფერია დარჩენოდათ კაპიტალისტებს—ყმებზე უნდა მიექციათ თავისი ყურადღება, და აი ისინი იწყებენ გოდვას და თხოულობენ ყმების ყიდვის უფლებას. მათი წადილი დაკმაყოფილებული იყო პეტრეს უკაზით 18 იანვარს 1721 წ. ამ უკანასკნელით ვაჭარ-მრეწველებზე გავრცელებული იყო უფლება მთელ დასახლებულ სოფლების ყიდვისა. რადგანაც დარჩენილი ზევით ნაჩვენები თავისუფლათ-დაქირავებული მუშები ან გაიქცეოდენ ხოლმე ფაბრიკის აუტანელ პირობებისგან ან წავიდოდენ, შეისწავლიდენ რა ხელობას; 1736 წ მსხვილ ვაჭარ-მრეწველებმა მიართვეს თხოვნა „სადა ჯერ არს“, და გამოიცა მეორე უმაღლესი უკაზი. ამ უკაზით ყველა ის, ვინც უკაზის გამოსვლის დროს ფაბრიკაზე მუშაობდა საუკუნოთ რჩებოდა და თავის ოჯახობით ფაბრიკაში მის მფლობელთან. ამნაირათ მოხდა შეცვლა თავისუფლათ დაქირავებულ შრომის იძულებითის ხასიათისაზე. მაგრამ ამ ფაბრიკის ყმების და საზოგადოთ ყმებს შორის დიდი განსხვავება იყო. სახელდობრ—პირველი მიბმული იყო არა მფლობელზე, როგორც ყმა, არამედ ფაბრიკაზე. ფაბრიკანტის უფლება თავად-აზნაურის წინააღმდეგ შეზღუდული იყო მთავრობის საქმეში ჩარევის უფლებით. კაპიტალისტს ნება ჰქონდა ემუშავებინა პოსესიური ყმა-მუშა მარტო ფაბრიკის სამუშაოზე და ამისათვის უნდა მიეცა სამუშაო ქირა. ამ უკანასკნელის და სამუშაო დღის სიდიდ-სიპატარავე ისაზღვრებოდა თვით კაპიტალისტის ნებით, მთავრობას მარტო უფლება ჰქონდა მუშების თხოვნით საქმეში ჩარეულიყო. აქვე შევნიშნავთ, რომ მთავრობა ამ უფლებით ძალიან ძვირათ სარგებლობდა. წარმოსადგენია ამისთანა პირობებში მუშების ცხოვრება? პირობები იმდენათ აუტანელი იყო, რომ მნიშვნელოვან ალაგს იჭერდა, მაგალითათ, ფაბრიკაზე სხვადასხვა მძიმე სასჯელი—„შინაურულათ“, როგორც აძლევდა მათ უფლება. მივუთითებთ მარტო იმაზე, რომ ხანდახან კატორღაზედაც კი გზავნიდენ.

სამუშაო წარმოებდა მთელი წელიწადი. სამუშაო დღე უმეტესათ სრულ 12 საათს გასტანდა და არსებობდა მისთანა ფაბრიკები — მაგალითათ კუზნეცოვისა რიაზანის გუბერნიაში—სადაც ზაფხულში 19 ს. (გაწყვეტით—съ перерывами) და ზამთარში 17 საათს მუშაობდენ. სამუშაო ქირა რასაკვირველია, მეტათ მცირე იყო, უმეტესათ ფულათ იძლეოდა და ზოგიერთ ალაგას კი—მაგ. პერემიშლევის მაუდის ფაბრიკაში იმავე რიაზანის გუბერნიაში—ამის მაგიერათ აძლევდენ სასმელ-საჭმელს და ტანთ და ფეხთ ჩასაცმელს, ან—მაგ. მასლოვის ტილოს ფაბრიკაში ტულის გუბ.—აძლევდენ მიწას და კვირაში 3 დღე ამუშავებდენ ფაბრიკაზე, 3 დღე კი გლეხი მუშაობდა თავისთან. საზოგადოთ პოსესიურ მუშების უმეტეს ნაწილს ჰქონდა პატარა ნადელი, ან ბოსტანი, სათიბი და სხვა ამგვარი. მარტო მცირედ ნაწილს ჰქონდა სამყოფათ მიწა.

ამ სურათს წარმოადგენდა ფაბრიკა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, რა ბედი ეწვია მას მერე, რა განვითარების გზას დაადგა გარემოცულ პირობების გამო?

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის თვალსაჩინო ხაზს შეადგენს თავ.-აზნაურობის პოლიტიკურ გავლენის გადიდება, ასე რომ ზოგიერთები ამ ხანას აზნაურულ ხანას უწოდებენ. ამ ფაქტს რასაკვირველია, არ შეეძლო დაღი არ დაესვა ცხოვრების და კერძოთ ეკონომიურ ვითარების მსვლელობაზე. თ.-აზნაურობას არ შეეძლო არ ესარგებლა თავის გაფართოვებულ ძლიერებით თავის ჯგუფურ ინტერესებში. ამ პირობებში რა მოელოდა პეტრეს დროის ფაბრიკას. შეეძლოთ განა აზნაურებს არ ესარგებლნათ დროთი და არ მოესპოთ ფაბრიკანტების უფლებაც ყმებზე, უფლება, რომელზედაც მათი ფიქრით მარტო მათ ქონდათ ნება? გასაგებია, რომ არა, და აი, იწყება ბრძოლა თ.-აზნაურებს და ფაბრიკანტებს შორის ზემოთ მოხსენებულ უფლებაზე, თ.-აზნაურები თავის ნაკაზებში ატარებენ იმ აზრს, რომ ფაბრიკანტებს-ვაჭრებს ნება უნდა ქონდეთ ისარგებლონ მარტო თავისუფალ დაქირავებულ შრომით „თ.-აზნაურებს კი“,—ამბობდა თვალსაჩინოთ დამცველი თავის წოდების ინტერესების თავადი შჩერბატოვი,—„ნება უნდა ქონდეთ დაქირავებულებზედაც და თავის ყმებზედაც, როგორც თვითონ ნებავთ“. კრაპივის (მაზრაა) თ.-აზნაურობა პირდაპირ თხოულობდა ფაბრიკანტებისაგან ნაყიდ და ზედმიწერილ სოფლების ჩამორთმევას და მათთვის გადაცემას. მოთხოვნილება, დაქირავებულ შრომით სარგებლობა, აზნაურების ინტერესებს შეადგენდა, რადგანაც დაქირავებულ ყმისაგან დიდ ხარკს აძრობდენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ცენტრალურ რუსეთში არაშავი მსუქანი მიწაა (нечерноземная) და მის დამუშავებით ბატონი ყმისაგან უფრო ნაკლებს იღებდა, ვინემ მის ხარკის მოსატანათ დათხოვით. **ლ. ა.**

(შემდეგი იქნება)

**ციმბირში გადასახლებულთა მდგომარეობა.** მარტო ტობოლსკის გუბერნიაში ამჟამათ ყოფილა 1300-ზე მეტი გადასახლებული. მათი მდგომარეობა აუტანელია თურმე, მაგალ., ს. კოშელოვაში პოლიტიკურები (40 კაცზე მეტია), საცხოვრებელ სახლის უქონლობის გამო, იძულებული არიან მოჯამაგირეებათ დაქირავდენ შეძლებულ გლეხებს. მუშაობისათვის ფულის მაგივრათ მთელს დღეს თურმე აძლევენ მთელი ოჯახისათვის. ოთახები ისეთი ძვირია, რომ მთელი მათი შემწეობა ხაზინიდან ძლივს ერთი ოთახის დასაქირავებლათ ყოფნით. ადმინისტრაციას აზრათ აქვს მოაწყოს პოლიტიკურებისათვის საზოგადო საცხოვრებელი ბინები ხელის-მოწერით შეგროვილ ფულით.

**სავალდებულო დადგენილება.** ვარშავის გ.-გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებით აკრძალა კერძო პირთა ან საზოგადოებათა მიერ ნებადაურთველათ ლექციების გამართვა და სასწავლებლების დაარსება. ამ დადგენილების დამრღვევი დატუსაღებულ იქნება სამი თვით ან დაჯარიმდება 3 ათასი მანეთით.

**სამღვდ. განწყობილება.** რუსეთის სამღვდელოება ბევრგან შეუწყნარებელ ურჩობას იჩენს. სექტემბრის პირველ რიცხვებისათვის განზრახული იყო ნიჟეგოროდის სამღვდელოების საეპარქიო სიეზდი, თუმცა საეპარქიო მთავრობამ გულმოდგინეთ გაცხრილა. სიეზდი, მაგრამ მის წევრთა უმრავლესობა მაინც პროგრესიული აღმოჩნდა სიეზდი, ალბათ ამის გამო განუსაზღვრელ დროისათვის გადაიდო.

„კრამოლნიკურ" ელემენტებისაგან შემდგარი აღმოჩნდა სამარის საეპარქიო სიეზდიც. სიეზდი გაკადნიერდა და მედგრათ მოითხოვა საეპარქიო სასწავლებლის და აგრეთვე სანთლის ქარხნის დასაბუთებული ანგარიში. ამ ნიადაგზე მოხდა კონფლიქტი სიეზდსა და ეპისკოპოს შორის და ამის გამო მოელიან სიეზდის გარეკას.

### სოფლათ

**აგრარული მოძრაობა.** კურსკის გუბერნიიდან იწერებიან, რომ იქ განახლდა და კიდევ უფრო გაიზარდა აგრარული მოძრაობა. მემამულეებმა მოაშორეს ქალაქებიდან თავიანთ მამულებს, რომ დროებით შეეცადონ მათ დაცვას. 1906 წ. აგრარული მოძრაობა, რომელმაც კურსკის გუბერნიის ყველა მაზრები მოიცვა, სტიქიურათ ბობოქრობდა და ცეცხლივით ისროდა აქეთ-იქით ნაპერწკლებს, მაშინ სოფლებში დადიოდენ დრაგუნები, ქვეითა ჯარი და დამსჯელი ექსპედიციაც კი. მაგრამ ჯარებმა ოდნავაც ვერ შეაჩერეს მოძრაობა. მაშინ გლეხების მოქმედების ტაქტიკა სხვანაირი იყო. გლეხების ბრბო შესცვივოდა მამულში და გააფთრებული იტაცებდა ყველაფერს, ცეცხლს უკიდებდა, მუშებს სამუშაოდან ერეკებოდა: წელს ასე აღარ არის. ბრბო აღარ მოქმედებს, მაგრამ მამულები კი განუწყვეტლივ იწვის, იწვის განსაკუთრებით პური, იწვის სამეურნეო იარაღები. მოვლენ თითქო უჩინ-მაჩინის ქუდით და წაუკიდებენ ცეცხლს. მასსიური მოძრაობა აღარ არის: წინანდელ ბრბოს მაგვარათ მოქმედებენ ცალკე ერთეულები, თითო-ოროლანი, რომელნიც სწორეთ ამიტომ უხილავნი არიან გლეხები და რუსის ხალხის კავშირი.

სარატოვის გუბერნიის ნიკოლაევის მაზრის ს. ანდროსოვკაში გაიხსნა რუსის ხალხის კავშირის განყოფილება, რომელშიც წევრებათ ჩასწერეს 70 გლეხი. განყოფილების თავმჯდომარეთ დანიშნეს მღვდელი ჟუკოვი, მდივნათ ვოლოსტის მამასახლისათ ნამყოფი კ. მალე სოფელში ხმა გავარდა—ჭეშმარიტ-რუსთა კავშირი იმისათვის იბრძვის, რომ გლეხებს მიწა არ მიეცეთ, და ამის გამო კავშირიდან გამოვიდენ გლეხები. ბოლოს თვით კავშირის თავმჯდომარემ მღ. ჟუკოვმა ეკლესიაში განაცხადა—თავმჯდომარეობას თავს ვანებებო. ამნაირათ განყოფილებამ ოთხი კვირის არსებობის შემდეგ სული განუტევა. გლეხებმა, უმთავრესათ კავშირის ყოფილმა წევრებმა, გულში ჩაიდეს კავშირის მდივნის კ—ის ჯავრი. ამ დღეებში ეს ვაჟბატონი დამთვრალა და მიწაზე დაგდებულა. ძილის დროს მას გლეხებმა მოპარსეს ნახევარი თავი და ნახევარი წვერი. კ—ს, რომ გამოეღვიძა, არაფრით იმა გლეხების ცელქობა, მაგრამ რას იზამდა, ადგა და სულ გაიკრიჭა. ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო და როცა ხალხმა ყოფილი სეკრეტარი გახვიტნილი დაინახა, დიდი სიცილ-ყიჟინი დააყარეს. კ. იძულებული შეიქნა ქ. უფაში გაპარულიყო ნათესავებთან.

## უცხოეთი

**გერმანია.** პიესის აკრძალვა. ბერლინში პოლიციამ აკრძალა ნემეცურ პიესის დადგმა, რომელშიაც რუსეთის ბიუროკრატია კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. ასეთი აკრძალვა, რომელმაც უკმაყოფილება გამოიწვია, ოფიციალურათ განმარტებულ იქნა იმით, რომ პიესები რუსეთის წინააღმდეგ არ შეიძლება დაიდგასო.

**ნორვეგია.** ჩრდილოეთ-ევროპის მუშათა კონგრესი. ნორვეგიის ქალაქ ქრისტიანიაში გაიმართა ჩრდილოეთ ევროპის მუშათა კონგრესი. ნორვეგიის პრესა ერთხმათ აღნიშნავს, რომ ეს კონგრესი თვისი პროგრამით, წევრთა რიცხვით და საგნის მნიშვნელობით ყველაზე უფრო თვალსაჩინოა იმ კონგრესებ შორის, რომლებიც როდისმე შეკრებილან ჩრდილოეთ ევროპაში. ამ კონგრესზე პირველათ არის წარმოდგენილი ფინლიანდია თვისი სამი დელეგატით. სულ კონგრესზე წარმოდგენილია 400,000 შეკავშირებული მუშა, რომელთაგან ნორვეგიის წილათ მოდის 20,000. ყველაზე უფრო ძლიერათ წარმოდგენილია დანია.

**ავსტრო-ვენგრია.** აგერ ორი თვეა ვენის სავაჭრო მოსამსახურენი მედგრათ იბრძვიან იმისთვის, რომ დაწესებულ იქნას მაღაზიების საღამოს 7 საათზე დაკეტვა. მოძრაობა მოედვა მთელ ვენას, გადავიდა პროვინციაში—გრაცში, პრაგაში, ბრიუნში, ტეპლიცში და წარმოადგენს მეტათ საყურადღებო მოვლენას ავსტრიის დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში. მოძრაობა დაიწყო იმით, რომ ზოგიერთმა დიდმა ტანისამოსის მაღაზიებმა შემოიღეს ვაჭრობის გათავება საღამოს 7 საათზე, სავაჭრო მოსამსახურეთა და ტრანსპორტის მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა ისარგებლა ამ შემთხვევით აგიტაციისათვის სავაჭრო დღის საერთო შემოკლების სასარგებლოთ. 1 ივლისს გაიმართა კრება, რომელზედაც გამოცხადდენ უმთავრესათ 7 საათზე დაკეტილ მაღაზიებიდან. კრებამ გადასწყვიტა დემონსტრატიულათ გაერთ მარიაჰილფზე, სადაც მაღაზიები ჯერ კიდევ დაუკეტელი იყო. დემონსტრაციას მოულოდნელათ თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც კიდეც გაფანტა იგი; ამასთან შეურაცხყოფილ იქნა რეიხსტაგის სოც.-დემოკრატი დეპუტატი, მოხუცი რეიმანი, რომელიც ცდილობდა გაერკვია პოლიციისათვის დემონსტრაციის მშვიდობიანი ხასიათი. „ინციდენტმა პოლიციასთან" ძალიან გაახმაურა მოძრაობა. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციამ შეიტანა პარლამენტში შეკითხვა პოლიციის უთვაქცევის შესახებ. პროფესიონალურმა კავშირმა პასუხი გასცა მთელი რიგი სახალხო კრებების გამართვით. კრებებს თან ახლდა მშვიდობიანი დემონსტრატიული სიარული, რომელსაც წინ უძღოდა ვეებერთელა საათი 7-ზე გაჩერებულ ისრით. მოძრაობას კიდევ მეტი ენერგია და სიმხნე შემატა „ავსტრიის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა ბიურომ", რომელმაც საგანგებო მოწოდებით მიმართა ავსტრიის ყველა შეკავშირებულ მუშებს. მოწოდება უხსნის მუშებს მოძრაობის მიზანს და მნიშვნელობას და ყოველი მუშის მოვალეობას ხელი შეუწყოს მოძრაობას; დასასრულ ბიურო მოუწოდებს ყველას არ ივაჭრონ იმ მაღაზიებში, რომლებიც 7 საათის შემდეგ იღება. მოძრაობა სულ უფრო იზრდებოდა, მან ჩაითრია სავაჭრო მოსამსახურეთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ელემენტები—საწვრილმანო დუქნებ-მაღაზიების მოსამსახურენი. საზოგადოებას ურიგებდენ ფურცლებს მოწოდებით არ ივაჭრონ მაღაზიებში 7 საათის შემდეგ. ვენის ერთ რაიონში შესდგა „მუშტართა ლიგა" იმ ზნით, რომ გაჯიუტებული მემაღაზიენი აძულებათ შემოიღონ „მცირე, მაგრამ აუცილებელი სოციალური რეფორმა". თავისი აზრი უნდა გამოეთქვა ხაზეინების კორპორაციას, დაიწყო მათი კრებები. მოხდა მკვახე განხეთქილება. სხვილ მემაღაზიეთაგან რეფორმის წინააღმდეგ აღიჭურვენ მხოლოდ რამდენიმენი. სამაგიეროთ საშვალო და წვრილმა მედუქნეებმა გააფთრებული ყვირილი ასტეხეს. ამათ რეფორმის წინააღმდეგ, სხვათა შორის, ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ თვით მუშებისათვის საზარალო იქნება 7 საათზე მაღაზიების დაკეტვა რადგან ბევრი მუშები მხოლოდ 7 საათის შემდეგ ათავებენ მუშაობას და მაშასადამე ვაჭრობაც მხოლოდ მაშინ შეუძლიათო. საწვრილმანო დუქნების პატრონთა კრებაზე, რომელსაც სული უდგამდენ რეაქციონური „ქრისტიან-სოციალისტები", ასეთი სიტყვები გაისმოდა: „ნოქრებს შეუძლიათ შეეცადონ სამუშაო დღის შემოკლებას, მაგრამ დუქნების განსაზღვრულ საათზე დაკეტვის მოთხოვნა მათ არ შეუძლიათ: ეს ნიშნავს ხაზეინების უფლებათა სფეროში ჩარევას. ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენს პირად საქმეებში ასე ხელის ფათურს ქუჩის მეგორალა ბიჭ-ბუჭებისას, და ვეტყვით მათ: „ქუჩა ვერ გამოსცემს ჩვენთვის კანონს!"—რამდენიმე ხაზეინის მეთაურობით შესდგა „შემრიგებელი კომისია", რომელშიაც შევიდა ორივე მოწინააღმდეგე მხრის წარმომადგენლები, მაგრამ სავალდებულო გადაწყვეტილებანი მას არ შეუძლია მიიღოს, ეს ისევ ხაზეინების და მოსამსახურეთა კორპორაციებს შეუძლიათ დამოუკიდებლივ. ამ კომისიის დაარსების შემდეგ მოძრაობამ მშვიდობიანი ხასიათი მიიღო; მოსამსახურეებმა განაცხადეს რომ სანამ კომისია მუშაობს, „ხმაურობით დემონსტრაციებს აღარ გავმართავთო". სხვადასხვა დარგის ვაჭართა თათბირზე ირკვევა, რომ 7 საათზე მაღაზიების დაკეტვა სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ ზოგიერთები კვლავ განაგრძობენ ჯიუტობას. მუშათა მასიური კრებები კიდევ იმართება. რესტორანში თავი მოუყრიათ მედუქნეებს და მრავალ ნოქრებს—უმრავლესობა ქალებია. დაპარაკობს მუშა ქალი სოც.-დემ. ბოშეკი, რომელიც მედგრათ იცავს მოსამსახურეთა ინტერესებს და ერთიანათ არღვევს ხაზეინების საბუთებს. იმ მოსაზრების წინააღმდეგ, თითქო მაღაზიების გვიან დაკეტვა თვით მუშებისათვის საჭირო იყოს, ბოშეკი ამბობს: „ჩვენთვის—მუშებისთვის ამ მხრივ მხოლოდ შაბათია საყურადღებო; მხოლოდ შაბათ-საღამობით ხელფასის აღების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვაჭრობა. მაგრამ შაბათობითაც სიამოვნებით გავიჭირებთ საქმეს ამხანაგური სოლიდარობისთვის. ჩვენ არ გვესაჭიროება ხაზეინების პირმოთნეული მზრუნველობა. 7 საათზე მაღაზიებს დაკეტვას ყველანი მივეჩვევით ისე, როგორც კვირაობით დუქნების დაკეტვას მივეჩვიეთ". კრებაზე სოც.-დემ. ფორსტნერმაც დაახასიათა ბრძოლის პოლიტიკური მნიშვნელობა. პარლამენტში, თქვა მან, სოც.-დემ. მუშათა დეპუტატების წინააღმდეგ გაჩნდა კლერიკალთა და ლიბერალთა „შავრაზმული კოალიცია", რომელიც ეწინააღმდეგება სოციალურ რეფორმების გატარებას. სოც.-დ.-ების კანონ-პროექტი სავაჭრო მოსამსახურეთა შრომის გაწესრიგების შესახებ უარყოფილ იქნება „მაგრამათ, განაგრძო ფორსტნერმა—ჩვენ მარტო პარლამენტს არ უნდა დავეყრდნოთ. ჩვენ უნდა დავემყაროთ პროფესიონალურ ორგანიზაციების ძალას და ამით ჩვენ შევიძლებთ განვახორციელოთ ის, რასაც გვერდს უხვევს კანონმდებლობაო". ფორსტნერმა დასასრულ, მოიწოდა კრება დაუღალავათ და მედგრათ აფართოვეთ და ამაგრეთ ორგანიზაციაო.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

6 სექტემბერი.

**არჩევნები**

**პეტერბურგი.** მოსკოვის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულების არჩევანი ასე დაგვირგვინდა: მოხდა არჩევნები ყველა 168 საზოგადოებაში. არჩეულია 336 რწმუნებული. ამათგან 2 რუსთა კავშირის წევრია. 23 თავის თავს მონარქისტს უწოდებს. 52 მემარჯვენე; 215 ზომიერი, 42 მემარცხენე, 4 უკიდურესი მემარცხენე. ამათგან 120 უკვე იყო არჩეული რწმუნებულათ მეორე დუმის არჩევნების დროს.

მუშათა რწმუნებულების არჩევნები ასე დამთავრდა. 310 დაწესებულებათაგან, რომლებსაც არჩევნების უფლება ჰქონდა, მოხდა არჩევანი 213-ში აირჩიეს 224 რწმუნებული, რომელთა შორის 1 „ჭეშმარიტ რუსია" 24 ს.-დემოკრატი 11 თავის თავს მემარჯვენეს უწოდებს, 3 მონარქისტს, 128 ზომიერს, 54 მემარცხენეს და 1 უკიდურესი მემარცხენე. არჩეულთაგან 45 უკვე იყო რწმუნებულათ მეორე დუმის დროს.

**ლომჟა.** ლომჟის მაზრის 14 საზოგადოებაში არჩევნები შესდგა. აირჩიეს 28 რწმუნებული. აქედან 2 ნაროდოვეცი და 26 ზომიერი.

**სედლეცი.** სოფლის საზოგადოებებში აირჩიეს 72 რწმუნებული. აქედან 1 ს.-დემოკრატი, 6 ნაროდოვეცი. 4 სახალხო დემოკრატი, 4 მონარქისტი. 55 უპარტიო, 1 კონსერვატორი.

**პეტერბურგი.** ტვერში 36 დაწესებულებაში რომლებშიაც უნდა მომხდარიყო არჩევნები, მოხდა მხოლოდ 30 ადგილას. აირჩიეს 30 რწმუნებული. ამათგან 6 ს.-დემოკრატი; 3 ს.-რევოლიუციონერი; 2 კადეტი. 3 თავის თავს მემარცხენეს უძახის 11 მემარჯვენეს, 6 უპარტიოს. დანარჩენი თორმეტის შესახებ ცნობები არ არის.

**კელცი.** ოთხ მაზრაში აირჩიეს 114 რწმუნებული. ნაროდოვეცი 74 და უპარტიო 40.

**პოლტავა.** რწმუნებულების არჩევა პოლტავის მაზრაში დასრულდა. აირჩიეს 2 ს. რევოლიუციონერი, 3 პროგრესისტი, 2 უპარტიო მემარჯვენე.

**ვიატკა.** ოთხ მაზრაში აირჩიეს 256 რწმუნებული. აქედან ერთი ჭეშმარიტ რუსთა კავშირს ეკუთნის 8 ს. დემოკრატია, 7 ს. რევოლიუციონერი 4 კადეტი 4 პროგრესისტი, 11 ზომიერი, 49 მემარჯვენე. 24 მონარქისტი 116 უპარტიო. 33 შესახებ ცნობები არ არის.

**ტვერი.** 6 მაზრაში აირჩიეს 214 რწმუნებული, 3 კადეტი, 13 მემარჯვენე, 48 მემარცხენე და 33 უპარტიო.

**პეტერბურგი.** საიმპერატორო იახტა „შტანდარტის" კლდეზე დაჯარიმებისა გამო მთავრობის განკარგულებით დაინიშნა გამომძიებელი კომისია.—კონტრ-ადმირალი ფონ-ესენის თავმჯდომარეობით.

**პეტერბურგი.** წინასწარ ცნობების მიხედვით გასულ ივლისში 169 მილიონი მანეთი მეტი შემოსულა ჩვეულებრივი გადასახადი, ვიდრე ეს შარშან იყო. ამ წლის პირველი 7 თვის განმავლობაში შემოსულა 1254 მილიონი, შარშან კი ამავე დროს განმავლობაში 1207 მილიონი. აქედან რკინის გზებიდან შემოსულა წელს 286 მილიონი მანეთი, შარშან კი რკინის გზებიდან 7 თვის განმავლობაში 250 მილ.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ეპიდემიის დაწყებიდან მთელ გუბერნიაში ხოლერით ავათ გახდა 251 კაცი, აქედან მოკვდა 106.

**სარატოვი.** 4 ენკენისთვეს მთელ გუბერნიაში ხოლერით ავათ გახდა 63, მოკვდა 39 კაცი.

**ტამბოვი.** 5 სექტ. [illegible] რევკას მახლობლათ შეიარაღებული უცნობნი დაესხნენ მატარებელს [illegible] ჩრდილოეთ ბანკის არტელჩიკს 2400 მანეთი, ვორონეჟსას 20000 მანეთი, მსუბუქათ დასჭრეს მათი მხლებელი სტრაჟნიკი და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სამხედრო საოლქო სასამართლოში დაიწყო რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიის შეერთებული კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ საქმის გარჩევა. ბრალი ედება 51 კაცს, რომელთაც გაასამართლებენ 102 მუხლის ძალით.

**ს. მოსკოვი.** ეტლი დაეჯახა გენერალ ზიმინს. გენერალი რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

**ლოძი.** პრომენადის ქუჩაზე ესროლეს კაპიტან გრობჩევსკის, რომელიც უვნებლათ გადარჩა. ფაბრიკას ჯარი შემოერტყა. 200 კაცი დაატყვევეს. ლოძში მოვიდა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე, პეტრაკოვის გუბერნატორი და ვიცეგუბერნატორი.

**რ უ ს ე თ ი.**

**ბერლინი.** გამოქვეყნდა, რომ გენერალ კუროპატკინს ებოძა დიდი ჯვარი წითელი არწივისა, გენერალ მიშჩენკოს წითელი არწივი პირველი ხარისხისა, მოსკოვის გენერალ გუბერნატორს გერშელმანს კაროლის ორდენი.

**ვენა.** გაიხსნა მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია ტუბერკულიოზის შესახებ.

რედაქტორ გამომცემელი
**ს. ჩხარტიშვილისა.**

## განცხადებანი

ბ. სუხუთ თომა ფირცხალავას.

კიდევ თანახმა ვარ გამოგყვე სამედიატორო სამართალში, მხოლოდ თავმჯდომარე უნდა ამოირჩიონ ჩვენმა მედიატორებმა, ჩემის მხრიდან ვასახელებ ნიკოლოოზ ჭრელაშვილს და ვლადიმერ კალანდაძეს.

(1—ფ—1) **მელიტონ კაკაურიძე.**

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპერმატინი". იგი სასურველ შველას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი" შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

### ავადმყოფთა წერილები.

„მ. ხ. ბ. ახობაძევ! თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლ-ნაკლულევანებით. უკანასკნელს წელიწადს ნერვები ძალიან ამეშალა. რაც დრო გადიოდა, უარესათ ვხდებოდი და მაკლდებოდა ჯანი, დამეკარგა მადა ჭამისა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებმა ტკივილი, თავის ტკივილი. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვადასხვა წამლებს—გამოწერილს სხვადასხვა ექიმებისაგან, მაგრამ ამაოთ ჩაიარა წამლობამ და დავკარგე მორჩენის იმედი. ამ დროს გავიგე, რომ თფილისში იყიდება წამალი ყოველგვარ ავათმყოფობისა—„სპერმატინი" ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელთან მოსკოვის ივანოვის ლაბორატორიისა. მოსკოვის ქუჩ. № 4. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი იღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება, გავთავისუფლდი ყველა იმ ავათმყოფობისაგან, რომლითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს. იმედი მაქვს, რომ სპერმატინი მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულ უბედურებას, თუ რომ გადამარჩენს ექიმების რეცეპტებს და ვიზიტებს, ჩემთვის უსარგებლოს. პატივის ცემით **ვ. მნაცაკანოვისა**". თფილისი, 22 აგვისტო.

„მ. ხ. ბ. ივანოვ! სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ „სპერმატინისთვის". 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც. ყველაფერზე ვტიროდი, „სპერმანის" ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი**. მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, 2, № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.".

„მ. ხ. ბ. ივანოვ! სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა" დიდი შველა მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ხ. კიუმენკერ**. 19 აპრ. 1907 წ."

„ივანოვის „სპერმატინის" ლაბორატორიაში („სპერმინი"). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი" და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო სამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ხ. ნ. ივანოვი**. მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.".

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი" ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა" ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, და ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეჭდ საქონელი არ იგზავნება.** (0—1)

ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი" მადათოვის კუნძული, სახლი შუხრახსკისა № 1.